

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17ა საცხოვრებელი სახლის
N34 ბინაზე, მოქალაქე გიორგი ჯანიაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ირაკლი აბაშიძის გამზირი N17ა საცხოვრებელი სახლის N34 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გიორგი ჯანიაშვილის განცხადება /2014 წლის 24.02 Nჯ-1183/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17ა საცხოვრებელი სახლის N34 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17ა საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი ჯანიაშვილს /პირადი N60001026775/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17ა საცხოვრებელი სახლის N34 ბინაზე, საერთო ფართობი 26,84 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 14,32 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,52 კვ.მ./ მოქალაქე გიორგი ჯანიაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია

